



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №121

2013 წლის 23 აგვისტო

ქ. ქობულეთი

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის

საპრივატიზებო საწყისი ფასის განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ქ.ქობულეთი, თავისუფლების ქუჩა №28-ის მიმდებარედ 258.0 კვ.მ. (ს/კ №20.42.07.349) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს 5418 (ხუთი ათას ოთხას თვრამეტი) ლარის ოდენობით;

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ქ.ქობულეთი, თავისუფლების ქუჩა №28-ის მიმდებარედ 258.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შემდგომი განკარგვის მიზნით იმოქმედოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ჯ. ჯინჭარაძე);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ე.ბაგრატიონი

